

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ.ვანი თავისუფლების N65

14 ივლისი 2020 წელი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, გელა ჩიკვაძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე, მერაბ ხურციძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: კობა ძაგნიძე, გია ხარაბაძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ივანე მამფორია.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულებლის მონაცემებისა და სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: ივანე მამფორია

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხსენიეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების მონაცემებისა და სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2019 წლის 25 დეკემბერს, N27 დადგენილებით. შემოსულობებისა და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 10311,9 ათასი ლარით. წლის განმავლობაში ბიუჯეტში ოთხჯერ განხორციელდა ცვლილება, რაც განაპირობა საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვის საჭიროებამ. ბიუჯეტის მოქმედი რედაქციით შემოსულობები შეადგენს 14272,0 ათას ლარს, გადასახდელები 15596,1 ათას ლარს, ნაშთის ცვლილება 1324,1 ათას ლარს, ხოლო რაც შეეხება სარეზერვო ფონდს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2020 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან 6 თვის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 69,7 ათასი ლარი გამოიყო. გამოყოფილი თანხების საკასო შესრულება 67,2 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც საქონელი და მომსახურების მუხლით 2,0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 53,9 ათასი ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 6,4 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 4,9 ათასი ლარი მიიმართა.

/დანართი N2/

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

წარმოდგენილი საკითხი გატანილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე